ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3844984

ნომერი: AR1576521

თარიღი : 09.02.2018

გაცემის თარიღი : 05.03.2018

გაცნობის თარიღი : 07.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეფე მირიანი , N23 ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ გიორგობიანი პ/ნ 01001015795
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 16 ბ. 47

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ოქტომბრის №3581267 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 09 თებერვალს №AR1576521 განცხადებით მომართა მიხეილ გიორგობიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის

02 ოქტომბრის №3581267 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 02 ოქტომბრის №3581267 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქი თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I-ში ავტოსკოლის მოპირდაპირედ, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის მხრიდან/ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I-ში ავტოსკოლის მოპირდაპირედ /ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I, ავტოსკოლის მოპირდაპირედ (ნაკვეთი 14/061), შპს "გალაქსი კონსტრაქშენ"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საოფისე შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის № 3638099 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 25 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 აპრილის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ოქტომბრის №3581267 ბრძანებით შეთანხმებულ +0.00 და 3.50 ნიშნულებზე მდებარე გეგმებზე არასწორად აისახა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, შესაბამისად ითხოვს 2017 წლის 02 ოქტომბრის №3581267 ბრძანებით შეთანხმებული +0.00 და 3.50 ნიშნულებზე მდებარე გეგმების 2018 წლის 09 თებერვლის №AR1576521 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი +0.00 და 3.50 ნიშნულებზე მდებარე გეგმებით ჩანაცვლებას.
სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი გეგმები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ წარმოდგენილ გეგმებზე არასწორად იქნა ასახული ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ოქტომბრის №3581267 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ოქტომბრის №3581267 ბრძანებაში, კერძოდ: 2017 წლის 02 ოქტომბრის №3581267 ბრძანებით შეთანხმებული +0.00 და 3.50 ნიშნულებზე მდებარე გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 09 თებერვლის №AR1576521 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი +0.00 და 3.50 ნიშნულებზე მდებარე გეგმებით.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ოქტომბრის №3581267 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ოქტომბრის №3581267 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.